თამაში უფროსკლასელებისათვის

ავტორი თეონა ბექიშვილი

მიუხედავად თანამედროვე მიდგომებისა, სწავლა ხშირად ხდება მოსაწყენი. არაფერი ისე ცუდად არ მოქმედებს მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე, როგორც ინტერესისა და მოტივაციის უქონლობა. ძნელია დააძალო უფროსკლასელს ტექსტის წაკითხვა, თუკი მას არ აინტერესებს. ამ დროსაა საჭირო რაღაც სხვა ტიპის მოტივაცია, რათა რამდენიმე ტექსტი ასე „ძალით“ წააკითხო და ამასობაში ნელ-ნელა განუვითარო მკითხველის თვისებები, რათა მეოთხე და მეხუთე ტექსტი უკვე უშუალოდ მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესის გამო იკითხოს.

თამაშზე და მის მნიშვნელობაზე სწავლებისას უკვე ბევრი დაიწერა, მეც დღეს ერთი თამაში მინდა შემოგთავაზოთ, რომლებსაც ჩემი შვილები თავიანთ მეგობრებთან ერთად თამაშობდნენ, მომეწონა, ლიტერატურას მოვარგე და ჩემს პრქტიკაში დავნერგე. ეს თამაში დაგეხმარებათ მოსწავლეებს კითხვა „დააძალოთ“ . თამაში გამოგადგებათ როგორც საპროგრამო ნაწარმოებების შესწავლისას, ასევე ლიტერატურული წრისა თუ მკითხველის საათის მუშაობის შემთხვევაში.

თამაშს თავის პირვანდელ ვარიანტში „ჯაშუშობანა“ ჰქვია და ითამაშება შემდეგნაირად (ამ ვარიანტსაც აღვწერ, რადგან თავისთავად საინტერესოა, როგორც მოდელი და შემდეგ სხვა საგნის სწავლებისთვისაც შეიძლება გამოდგეს): ერთი ადამიანი ირჩევს ჩასაფიქრებლად ერთ ადგილს, მაგ. სკოლა, ბარი, ზღაპარი „კომბლე“, ინგლისურის წრე ან რამე ნებისმიერი... ოღონდ ამ ადგილას მოასპარეზე ადამიანების დახასიათება მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ. შემდეგ წამყვანი ამ ადგილას მყოფი ადამიანებისა თუ პერსონაჟების როლებს ჩუმად ეუბნება მონაწილეებს. მხოლოდ ერთს ჩასჩურჩულებს “ ჯაშუში“. ანუ მხოლოდ იმ ერთმა არ იცის, რა ადგილი აირჩია თამაშის წამყვანმა, ხოლო დანარჩენებმა არ იციან, რომელია ჯაშუში.

ჯაშუში თამაშობს მთელი გუნდის წინააღმდეგ, თუ მან გამოიცნო, რა ადგილია ჩაფიქრებული, გამარჯვებულია, თუ ჯგუფის წევრები გამოიცნობენ, ვინ არის ჯაშუში, ჯგუფია გამარჯვებული. თუ ვინმე არასწორად დაიჟინებს და დანარჩენებსაც დაითანხმებს, რომ ის ვიღაც ერთი ჯაშუშია, მაშინაც გუნდი აგებს.

ასე მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ჩაფიქრებული ადგილია სკოლა, ხოლო როლებიწამყვანმა ასე გაანაწილა:

გიო (დირექტორი)

ლანა (სასწავლო ნაწილი)

ლია (დამრიგებელი)

გუგა (მანდატური)

ნონა (მოსწავლე , ნინო)

გივი (მოსწავლე , გურამი)

ნოდო (ჯაშუში)

როლების სათითაოდ, ინდივიდუალურად მინიჭების შემდეგ იწყება ერთმნეთთან დიალოგი, რომლის დროსაც თითოეული ცდილობს უპასუხოს ისე, რომ დანარჩენები დაარწმუნოს, რომ თავად არაა ჯაშუში, ხოლო ჯაშუშმა ამასობაში ვერ გამოიცნოს ჩაფიქრებული ადგილი. ჯაშუში, თავის მხრივ, ცდილობს ასევე მიიღოს საუბარში მონაწილეობა, რათა სხვები არ მიხვდნენ, რომ ის ჯაშუშია, მაგრამ ისე, რომ რაც შეიძლება ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლოს, რათა როცა ჩაფიქრებულია„სკოლა“, უცებ არ მოყვეს, რომ წარმატებულად ინადირა.

მაგალითად:

- ლანა მიმართავს გუგას (ყველას აქვს ეჭვი, გარდა ჯაშუშისა, ხომ არ არის მეორე ჯაშუში) მომიმზადეთ, ის, რაც გთხოვეთ? (ლანა გულისხმობს დავალებას ან რაღაც დოკუმენტს, რადგან თვითონ სასწავლო ნაწილია, მაგრამ დაკონკრეტებისაც ეშინია, საშინაო დავალება ან მანდატურის ანალიზი რომ ითხოვოს, ჯაშუში მიხვდება, რომ სკოლაა და მაშინვე გაიმარჯვებს.
- გუშინ დედაჩემი იყო ცუდად და ვერ შევძელი (ამბობს გუგა, რომელიც ფიქრობს, რომ ლანა შეიძლება მასწავლებელია და გუგა შეიძლება მოსწავლე ჰგონია.
- თუ კითხვაზე, დღეისთვის რა მომიმზადეთ, ჯაშუში იტყვის, რომ დღეისთვის მოამზადა ირმის მწვადი, თავისთავად ცხადია, ყველა მიხვდება, რომ ნოდო ჯაშუშია და გაიმარჯვებენ.

იმისთვის რომ თამაშის წესები გაითავისონ, თავიდან თქვენც ცხოვრებისეული, მათთვის ჩვეული ადგილები გაათამაშეთ თავიანთი მარტივი როლებით, ხოლო წლის მეორე ნახევარში, როდესაც რაღაც ტექსტები უკვე გავლილი გაქვთ, შეგიძლიათ გააფრთხილოთ, რომ იქით კვირაში ითამაშებთ და ნაწარმოებები გაიმეორონ.

მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ჩაიფიქრეთ „ვეფხისტყაოსანი „ და დაანაწილეთ როლები.

(ქვემოთ მინიჭებული სახელებით აღვწერთ დიალოგს.

- როსტევანი: რაღაც გართობა მინდა, რას მირჩევდით
- თინათინი: ხომ არ გაგვესეირნა? (არ აკონკრეტებს „ნადიმს, ნადირობას“, რათა ჯაშუში არ მიხვდეს.

როსტევანი თინათინის პასუხით დიდად ვერ ხვდება, თინათინი თინათინია თუ ჯაშუში და აგრძელებს მის დაკითხვას.

- რაიმე რჩევას ხომ არ მომცემდით?
- ვფიქრობ, შეგიძლია შაგროვო ინფორმაცია. (აქ წესით ე. წ. როსტევანი უნდა მიხვდეს, რომ თინათინიც „ვეფხისტყაოსნის“ გმირია, ხოლო ჯაშუშას უნდა გაუჭირდეს გამოცნობა.

ეს თამაში საინტერესოა, რადგან მოსწავლეები ყოველთვის მოულოდნელი კუთხით ხსნიან პერსონაჟის ქცევასა და ეს ისევ მათ ეხმარება სხვა მხრივ შეხედონ ტექსტებს.

ეს თამაში მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ როლების მორგებისა, არამედ, საკუთარი ფრთხილი ინტერპრეტაციების, რომლის დროსაც ისე არ უნდა დაშორდე ტექსტს, რომ ეჭვი გამოიწვიო და შენი გუნდი დაამარცხო და არც ისე ზუსტი უნდა იყო, რომ ჯაშუში მიგიხვდეს, ანუ უნდა შეძლო ენობრიც ბეწვის ხიდზე გავლა. ეს მოთხოვნები, გარდა იმისა, რომ ტექსტის ღრმა ცოდნისკენ უბიძგებს მოსწავლეს, კრიტიკული აზროვნების უნარსა და ვერბალურ უნარებას ავითარებს.

მე, როგორც ლიტერატურის მასწავლებელს, ეს თამაში მხოლოდ ტექსტებთან მიმართებაში გამომიცდია, თუმცა, ვფიქრობ, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებიც მშვენივრად გამოიყენენ. (შეიძლება სხვა საგნებისაც, უბრალოდ ახლა სხვა საგნებისთვის ნიმუში არ მაფიქრდება)

მაგალითად, გეოგრაფიის მასწავლებელს შეუძლია ჩაიფიქროს „ ცა“ ან „ზღვა“ და მიანიჭოს შესაბამისი როლები, ვთქვათ, პლანეტები, მთვარე, მზე, ვარსკვლავები.

როცა ბავშვები გეოგრაფიის გაკვეთილზე არიან, თავისთავად ცხადია, ისინი ელიან, რომ ჩაფიქრებული იქნება გეოგრაფიული ადგილი და მოთამაშეებს თავიანთი თავის აღწერას მოსთხოვენ. მაგალითად, თუკი გელას უთხარით ადგილი „კოსმოსი“ და თავისი როლი „ნეპტუნი“ ის უნდა მიხვდეს, რომ უპირველესად მანძილი იკითხოს. თუ ლანას ეკითხება, სად ხარო? და ის პასუხობს, არც ისე შორსო, ე. ი. ლანა ჯაშუშია, რადგან ნებისმიერი ციური სხეული საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთს.

ისტორიული ეპოქების ჩაფირებაც იოლად გამოვა. შეიძლება კლასმა ჩაატაროს რაიმე კვლევა ერთი კუთხით სხვადსხვა ეპოქაში. მაგ, ადამიანის საცხოვრებელი პირველყოფილი ადამიანიდან დღემდე. ან, ვთქვათ, ტანისამოსი, ან იარაღი. და ისტორიის მასწავლებელმა გაანაწილოს როლები სურვილისამებრ, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნის საქართველო. და როლები: ქართული კაბა, ევროპული შლაპა, გლეხის ახალუხი და ა. შ. თუ მოსწავლეებმა იციან, რომ ტანისამოსზე თამაშობენ, საუბარი ამ კუთხით წარიმართება: როგორი ხარ? რისთვის ხარ? გამძლე ხარ? და ა. შ.

თქვენი მხიარული თამაშები კიდევ უფრო მხიარულად რომ დასრულდეს, ერთს გასწავლით საიდუმლოდ: ბოლოს შეგიძლიათ კლასს ეხუმროთ და ყველას ჩასჩურჩულოთ „ჯაშუში“. ასეთ დროს ისინი იწყებენ ფრთხილ, ზოგად საუბარს და რაღაც გაურკვეველი კომიკური სიტუაციები იხატება ხოლმე. გაითვალისწინეთ, მსგავსი რამ არასაგაკვეთილო პერიოდში ან გაკვეთილების ბოლოს დაგეგმეთ, რადგან როდესაც იგებენ, რომ ყველა ჯაშუში იყო და ამდენ ხანს ტყუილად ცდილობდნენ ერთმანეთის მოტყუებას, ისე ხალისობენ, მათი დაწყნარება და საგაკვეთილოდ მობილიზება უკვე ძნელი ხდება, თუმცა მსგავსი აქტივობები საგრძნობლად აუმჯობესებს

მოსწავლის დამოკიდებულებას შესასწავლი მასალისადმი, რადგან შემდგომში ის ამ მასალით შეიარაღებული თამაშს, გართობას, მყისიერ წარმატებას და ხალისს ელის.

თუკი რომელიმე თქვენგანი მეტყვის, რომ ასე ბავშვები ტყუილში ვარჯიშდებიან, გიპასუხებთ, ლიტერატურაც ესაა, ტყუილი, გამონაგონი, რომელიც არც ეჭვს აღძრავს და არც ბოლომდე გაჯერებს, არც გიმალავს და არც გიხსნის, სიცრუის სიბრძნეზე გიყვება, როგორც სულხან-საბა ორბელიანი იტყოდა!